ლომი

7-11 ნოემბერი 1994 წ. ● №38 (1090)

ფასი 200 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ინფორმაცია პირველწყაროდან
ისევ კახი კახიაშვილის გამო

როგორც ვიუწყებოდით, კახი კახიაშვილი ისე წავიდა საბერძნეთში საცხოვრებლად და სპორტული კარიერის გასაგრძელებლად, რომ ამის შესახებ ორი ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებს შორის არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. ამ ფაქტმა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ჩვენს სპორტულ სამყაროში, გულშემატკივრებში. ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის დეპარტამენტი მანკიერ პრაქტიკად მიიჩნევენ, როცა ზოგიერთი ქვეყნის სპორტული ხელმძღვანელები ცდილობენ, და ხშირად ახერხებენ კიდეც, დაიყოლიონ ცნობილი სპორტსმენები მიატოვონ თავიანთი სამშობლო. ამ დღეებში ჩვენმა ფედერაციამ და სეოკ-მა ფაქსი გაუგზავნეს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციას და ოფიციალურად აუწყეს ზემოთქმული, ამასთან, მომავალში გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით აფრთხილებენ, რომ საქართველოს მხარე არ დათანხმდება კახიაშვილმა სხვა ქვეყნის სახელით იასპარეზოს მომავალ სპორტულ შეჯიბრებებში.

როდის მივაღწევთ იმ დონეს, როცა საქართველოს ელჩი საფრანგეთში პარიზის ქუჩებში ირბენს?

ბერნარ ფასი

საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ბერნარ ფასიემ კი თბილისში გასულ კვირას გამართულ კროსში სხვა მონაწილეებთან ერთად უკვე ირბინა რესპუბლიკის მოედნიდან ძველ სტუდქალაქამდე და უკან რესპუბლიკის მოედნამდე. ფინიშთან იგი თავს ჩინებულად გრძნობდა. ამ მომენტში ბატონი ელჩი არაფრით განსხვავდებოდა ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული მძლეოსნისგან, რომელიც ფინიშის შემდეგ ჟურნალისტების ალყაში მოექცევა და აქოშინებული იძლევა პასუხს შეკითხვებზე. მაღალი რანგის ფრანგ დიპლომატს სხვებმაც მიბაძეს. საქართველოში უცხოეთის საელჩოების ბევრი წარმომადგენელი გამოვიდა იმ მზიან დღეს სტარტზე, რათა თავიანთი წვლილი შეეტანათ საქველმოქმედო კროსის წარმატებით ჩატარებაში, კროსისა, რომლის დევიზი გახლდათ „საქართველო — ბავშვებისათვის“.

მთავარი გარბენი მოიგო ახალციხელმა ზ.ზილბერშტეინმა (სურათზე №212), მეორე იყო შ.ნადირაძე (№ 100, „მხედრიონი“), მესამე — პ.მამიკონიანი (№ 1; ორივე — თბილისი). ქალები: 1. მ.ამზოევა („მხედრიონი“), 2. ლ.ბურნაძე (ორივე — თბილისი), 3. თ.გილაშვილი (საგარეჯო).

კროსის გამარჯვებულთა და მონაწილეთა ჯილდოებით უზრუნველყოფაში დიდი წვლილი შეიტანეს ფირმებმა „გუმრმა“ და „კოკა-კოლამ“, სასტუმრო „მეტეხმა“. შემოსავალი ბავშვთა სახლებს გადაეცემათ.

კროსის ერთ-ერთი ორგანიზატორია ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქეა“.

პირველი პროფესიონალი ველომრბოლი საქართველოდან ვასილი დავიდენკო არდადეგებზე ჩამოვიდა მშობლიურ თბილისში

ის უკვე 2 წელია იტალიაშია. ქვეყნის პროფესიონალ ველომრბოლელთა კლუბში, „შევარდენის“ ველოსკოლის აღზრდილი მეგობრებთან ერთად რეკლამას უწევს ფირმა „ნავიგალეს“, რომელიც კლუბის ძირითადი დამფინანსებელია.

წელიწადში რამდენ შეჯიბრებაში მონაწილეობთ?

— შარშან 60, წლეულს კი უკვე 70-მდე რბოლაში მივიღე მონაწილეობა, გაისად 100-მდე შეჯიბრებაა დაგეგმილი.

და ეს ყველა პროფესიონალთა მონაწილეობით?

— დიახ, მე მხოლოდ პროფესიონალთა ასპარეზობებში გამოსვლის კონტრაქტი მაქვს გაფორმებული.

რამდენ წლიანია ეს კონტრაქტი?

— რისკზე არავინ მიდის, ჯერ ერთი წლით გიწვევენ, თუ გაამართლებ, განაახლებენ, ისევ ერთი წლით, მოკლედ, კონტრაქტი მხოლოდ ერთწლიანია...

მაინც რამდენი „ერთწლიანის“ გაფორმება გაქვთ გადაწყვეტილი?

— ბევრის. ბორბლებს ვატრიალებ ვიდრე მუხლებში ძალა მექნება. ისე, 35 წლამდე გამოდიან იღბლიანები.

თქვენ ჯერ მხოლოდ 24-ის ხართ. მოგვლოცავს მეუღლე თბილისელი შეგირთავთ, ბავშვი?

— ბორბლებზე მჯდომი კაცისთვის მეუღლე და ბავშვები მეტისმეტია. ვნახოთ, როდის გადმოვალ უნაგირიდან.

ცხოვრების როგორი პირობები გაქვთ იტალიაში?

— ჩინებული აპარტამენტი გამომიყვეს უფასოდ, კვებაც, ცხადია, კარგია, უფასო, მყავს მანქანა.

შემოსავალი?

— ოო! ყველაფერი მოგებაზეა დამოკიდებული, სპორტში წარმატება კი, იცით, შრომაზე ჰკიდია. საპრიზო ფონდი სოლიდურია. ასე რომ, შრომა ფასობს.

თქვენს კლუბში კიდევ ვინაა უცხო ქვეყნიდან?

— ახლა მე და ერთი ყაზახი დავრჩით, იაპონელი იყო და წლეულს დაბრუნდა სამშობლოში.

სულ გუნდში რამდენი ხარო?

— ათნი.

ბევრი პროფესიული კლუბია ამუამად იტალიაში? თქვენი კლუბის ადგილი კონკურენტებში...

— დიახ, კლუბი ბევრია. მთავარია, რომ ჩვენ შეოთხე ადგილი გვიკავია მათ შორის და დაწინაურების დიდი პერსპექტივა გაგვაჩნია.

ყველაზე პოპულარული რომელი ასპარეზობაა?

— გუნდური, კონკრეტულად „ჯირო დ' იტალია“.

წლევანდელი თქვენი საუკეთესო მიღწევა...

— გუნდურში III ადგილი პორტუგალიაში, პირადში — IV.

ყოველთვის გახსოვთ საქართველო, თბილისი?

— რა თქმა უნდა. ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ დავივიწყებ, თუნდაც ვინმემ რომ მოინდომოს, ვერ დამავიწყებს. მართალია, მე უცხოეთის კლუბში ვარ, მაგრამ იმ პირობით, რომ ყველგან საქართველოს სახელით გამოვდივარ შეჯიბრებებზე. ასე რომ, ჩემი საქართველო და ჩემი თბილისი მუდამ ჩემთანაა...

ესაუბრა
თ. თოდუაშვილი

სურათზე: ვასილი დავიდენკო (შუაში მეუღლესთან ერთად) ესაუბრება საქართველოს ველოსპორტის გამოჩენილ სპეციალისტებს (მარცხნიდან): იოსებ გოცირიძეს, შალვა სალარეიშვილს და ავთანდილ გუნიას.

ალექსანდრე კოტორაშვილის
ფოტო.

თბილისის „დინამოს“ ახალი მწვრთნელი

კარგა ხნის არჩევანისა და ყოყმანის შემდეგ გადაწყდა: თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს დაენიშნა ახალი მწვრთნელი, ახალი ხელმძღვანელი — სპორტის ოსტატი სერგო ივანეს ძე კუტივაძე.

ს. კუტივაძე ცნობილი ფიგურაა ქართულ ფეხბურთში, თამაში დაიწყო ქუთაისის ბავშვთა გუნდებში, მერე გამოდიოდა ქუთაისის „ტორპედოში“, თბილისის „დინამოში“, ნათამაშევი აქვს სსრ კავშირის ნაკრებში, სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ბრინჯაოს მედალოსანი.

1974-84 წლებში თბილისის „დინამოში“ მუშაობდა ჯერ მეორე მწვრთნელად, შემდეგ, გუნდის უფროსად, გამოირჩეოდა ფართო ტაქტიკური ხედვით და კომბინაციური უნარით.

სკანდალი რუსულ ჭადრაკში

ორი ფედერაცია, ორი პრეზიდენტი, გაუთავებელი დავა

რუსეთის ჭადრაკში ბევრი ისეთი უცნაურობა ხდება, რაც რამდენიმე წლის წინ დაუჯერებელიც კი იქნებოდა. ახლა, ფიდეს და პროფესიული საჭადრაკო ასოციაციისა არ იყოს, რუსეთშიც არსებობს ორი ფედერაცია და, სხვათა შორის, ერთი და იგივე სახელწოდებით. ერთის პრეზიდენტია ოსტატი ევგენი ბებჩუკი, ვიცე-პრეზიდენტი კოანტოლი კარპოვი. მსოფლიო ჩემპიონად იგი კარპოვს აღიარებს და ფიდეს წევრია. მეორის პრეზიდენტად არჩეულია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი ანდრეი მაკაროვი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვის სრული მხარდაჭერა აქვს. თუ ბებჩუკსა და კარპოვს ემხრობიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონები მიხეილ ბოტვინიკი, ვასილ სმისლოვი, მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი ახლანდელი პრეტენდენტი ვალერი სალოვი, მაკაროვსა და კასპაროვსაც საკმაოდ ჰყავთ მხარდამჭერები. ერთი ორგანიზაცია სრულიად უკანონოდ მიიჩნევს მეორეს, დიდ დავასაც ეწევა ყოფილი საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის ქონების გასაყოფად. ეს განსაკუთრებით ცენტრალური საჭადრაკო კლუბის შენობას ეხება. თუ ბებჩუკისა და

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს IV ჩემპიონატი კალათბურთში

ვაჟები. I წრის I ტური

თბილისი. ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.

„აზოტი“ (რუსთავი) — „მერანი“ 93:95, „კაქტუსი“ — „აზოტი“ 126:67, „ვითა“ — „გეორგიკა“ 128:47. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — „მერანი“ 74:91.

ეპილოგი

თბილისის განათლების სამმართველოს გვერდაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტული სკოლის კოლექტივი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ამავე სკოლაში აღზრდილს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ვაჟა ხაბეიშვილს.

მედალი საჩხერელ ძალოსანს

ამას წინათ, რომში გაიმართა 20 წლამდე იუნიორთა შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში, სადაც წარმატებას მიაღწია საჩხერელმა ძალოსანმა გიორგი ასანიძემ (83 კგ). მან აიტაცა 155, აჭარა 185 კილოგრამი და ორჭიდის ჯამში 340 კილოგრამით მოიპოვა ვერცხლის მედალი.

საბაჟო და ვალუტა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ახალი დადგენილებით, შიდასავალუტო ბაზრის დაცვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს შეუძლიათ საზღვარგარეთ გაიტანონ 500 აშშ-ს დოლარი (ან ამ თანხის ექვივალენტი). შემოტანა შეუზღუდავია. სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც შეუზღუდავად შეუძლიათ ვალუტის შემოტანა, გასატანი თანხა კი შემოტანილს არ უნდა აღემატებოდეს.

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ საზღვარგარეთ გაიტანონ 500-ზე მეტი აშშ-ს დოლარი (ან ამ თანხის ექვივალენტი), მაგრამ არა უმეტეს 4000 აშშ დოლარისა (ან მისი ექვივალენტი) იმ შემთხვევაში, თუ საბაჟოს წარუდგენენ ნაღდი ფულის საზღვარგარეთ გატანის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებულ ბანკებში აღებულ ნებართვას.

ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია დააინტერესებს საქართველოს სპორტული დელეგაციების წევრებს, რომლებიც უცხოეთში მოგზაურობენ.

სკანდალი რუსულ ჭადრაკში

დასაწყისი 1-ელ გვერდზე.

კარპოვის განკარგულებაშია ჟურნალი „64-შახმატნოე ობოზრენიე“ (რედაქტორი ალექსანდრე როშალი), მაკაროვსა და კასპაროვს მხარში უდგას „შახმატნი დისტოკი“ (რედაქტორი იური ავერბახი).

საქმე იქამდეც მივიდა, რომ კარპოვმა რუსეთის პრეზიდენტსაც კი მიმართა. აი, ეს მიმართვაც მცირე შემოკლებებით:

ღია წერილი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს

ღია წერილით თქვენდამი ჩემი მომართვა დაკავშირებულია ოფიციალური ორგანოებისა და საპრეზიდენტო სტრუქტურის ჩარევასთან წმინდა საზოგადოებრივ საქმეებში, რომელიც ჩვენთან ბოლო წლების მანძილზე აღარ კეთდებოდა.

ახლა ძველი პრაქტიკა, სამწუხაროდ, ჭადრაკსაც შეეხო. განხორციელდა ცდა „გადატრიალების“ მოხდენისა რუსეთის საჭადრაკო ცხოვრებაში, რადგანაც მოსკოვის შეხვედრის დროს არჩეული ადამიანები ცდილობენ თავი რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელებად გამოაცხადონ.

მსოფლიოში არსებობს გარკვეული ძალები, რომლებსაც სურთ დიდი რუსეთიც გაიყონ. ამის გაკეთება შეიძლება სხვადასხვანაირად. შეიძლება გამოიყენო ცალკეული განსხვავება ოლქების, ავტონომიური ერთეულების პოზიციებში, შეეცადო რუსეთის ტერიტორიის ნაჭერი ჩამოათალო, შეიძლება განხეთქილება და წინააღმდეგობა შეიტანო დიდ საზოგადოებრივ მოძრაობებში, ამით ერთიანობისა და სახელმწიფოებრიობის საფუძველი დააზიანო.

გასაოცარია, როცა რუსეთის პრეზიდენტს ამ საკითხში ესოდენ გარკვეული და ნათელი პოზიცია გააჩნია, თქვენმა მთავარმა მრჩეველმა სპორტის საკითხებში ბ-ნმა შ.ტარპიშჩევმა იჩქარა და სხდომაზე თავისი მისალმებით კანონიერებს სახე მისცა დიდოსტატ გ.კასპაროვის, ადვოკატ ა.მაკაროვისა და მათი მომხრეების ჯგუფის მოქმედებასა. თუმცა, ჩამოთვლილ ბატონებს იოლად შეეძლოთ ბ-ნ ტარპიშჩევის შეცდომაში შეყვანაც, არ გაეცნოთ მისთვის საქმის ნამდვილი ვითარება.

რაც შეეხება გამოჩენილ მოჭადრაკე გ.კასპაროვს, მისთვის „კანონები არ არსებობს“ და ამას ის მაინცდამაინც არც მალავს. ეს მარტო ჭადრაკის სფეროს როდი ეხება. აი, ადვოკატ ა.მაკაროვისათვის კი კარგი იქნებოდა ოფიციალურ დოკუმენტებში ჩაეხედა (რომლებიც რეგისტრირებული და აღიარებულია რუსეთის იუსტიციის სამინისტროში), იმ ორგანიზაციის დოკუმენტებში, სადაც იგი ასეთი გულმოდგინებით და სიმარჯვით ცდილობს პრეზიდენტის სავარძლის უკანონოდ დაუფლებას.

ძალზე ძნელი ტვირთი გახლავთ დღევანდელ უმძიმეს პირობებში რკისრო ზრუნვა რუსეთის ბავშვთა ჭადრაკზე, გაღატაკებულ საჭადრაკო კლუბებზე, ასობით დდოსტატსა და ოსტატზე, რომლებიც ცნობილი არიან მთელ მსოფლიოში, მაგრამ გაჭირვებით ინარჩუნებენ ძნელ საცხოვრებელ პირობებს. ორი წლის წინათ გ.კასპაროვმა და ა.მურაშოვმა სპეციალურ წერილობით მიმართეს რუსეთის მოჭადრაკეებს უამრავი რამ აღუთქვეს და ასე ჩაუდგნენ სათავეში ფედერაციას. შემდეგ ერთი წლის მანძილზე ჩაშალეს მთელი მუშაობა და იძულ[illegible] გახდნენ თანამდებობებზე [illegible] ჭადრაკი[illegible] ძლიერი აღმოჩნდა.

რუსეთის საჭადრაკო მოძრაობის წინაშე ამჟამად საკითხი ასე დგას: შესაძლებელი კი იქნება ერთიანობის შენარჩუნება, თუ კასპაროვი და მისი მომხრეები მიზანს მიაღწევენ და საჭადრაკო რუსეთს ნაჭერს წაგლეჯენ?

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ჭადრაკში, რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

ანატოლი კარპოვი.

საქმე ისე შორს წავიდა, რომ მხარეების შერიგებისა თუ პოზიციების დაახლოების ოდნავი შესაძლებლობაც კი არ ჩანს. მდგომარეობა დღითიდღე მწვავდება და მეტოქეები ერთმანეთს ათას რამეში სდებენ ბრალს.

რუსეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა (პრეზიდენტი ვ.სმირნოვი) ერთადერთ კანონიერ ორგანოდ, რომელიც რუსეთის მოჭადრაკეთა ინტერესებს იცავს, ახალი ფედერაცია მიიჩნია ანდრეი მაკაროვის ხელმძღვანელობით და მასთან ხელშეკრულებაც დადო თანამშრომლობის თაობაზე.

მოამზადა

გივი გამრეკელმა.

საქართველოს ჩემპიონატები • პირველობები • ტურნირები

• რაგბი

გაიმართა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები უმაღლეს ლიგაში. „ყორნები“ (თბილისი) — „თბილისი“ (თბილისი) 13:47, „აია“ (ქუთაისი) — „თბილისი“ (თბილისი) 3:0, „ლელო“ (თბილისი) — „ყორჩები“ (თბილისი) 6:49.

• ცხენოსნობა

ცხენოსნებს მოენატრათ შეჯიბრებები. სპორტის დეპარტამენტმა და ცხენოსნობის ფედერაციამ ბაიდ მოახერხეს ჩაეტარებინათ საქართველოს პირადი ჩემპიონატი კლასიკურ სახეობებში. ორჭიდში უძლიერესი იყო თბილისის საცხენოსნო ბაზის წარმომადგენელი ოთარ აბრამიძე: „ბახსნის პრიზი“ დამრეკლებათა გადალახვაში მოიგო ლტოლვილმა მხედარმა ოჩამჩირიდან ოთარ ნარმანიამ. მასვე გადაეცა ახლახან გარდაცვლილი ვეტერანი მხედრის მერაბ მეძმარიაშვილის ხსოვნის პრიზი.

„საქართველოს თასი“ — ეროვნული გვარდიის საცხენოსნო ესკადრონის მეთაურის ყოფილი მოადგილის, გვარდიის ოფიცრის ვამეხ გაჩეჩილაძის ხსოვნის ტრადიციული პრიზი წილად ხვდა თბილისელ ჯიმშერ ბერძენიშვილს. მეორე იყო კახაბერ კიკიანი, მესამე — ივანე ყურუა.

X X X

შეჯიბრების შემდეგ იქვე იპოდრომზე შედგა პროფესიონალ და მოყვარულ ცხენოსანთა კლუბის დამფუძნებელი კრება. კლუბის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ივანე ყურუა, თანათავმჯდომარედ — ბაქარ გაჩეჩილაძე, გენერალურ მდივნად ნოდარ ებრალიძე. კლუბს, გვარდიის ოფიცრის ვამეხ გაჩეჩილაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მისი სახელი მიენიჭა.

• მძლეოსნობა

ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრება მძლეოსნობაში გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. საინტერესო იყო ვაჟთა რბენა 100 მეტრზე, სადაც გამარჯვება მოიპოვა „მართვეს“ წარმომადგენელმა ბათუმელმა რუსლან მამედოვმა. ეს მანძილი მან 10,8 წამში გაირბინა. მისმა თანაკლუბელმა მაკა ობოლაშვილმა (თბილისი) ყველაზე შორს გაგზავნა შუბი ქალებს შორის — 48 მეტრსა და 4 სანტიმეტრზე.

თბილისელმა ნინო ბაღაშვილმა („მართვე“) ორი გამარჯვება იზეიმა 100 და 200 მეტრზე რბენაში — შესაბამისად 12,9 და 26,9 წამი.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წარმომადგენელმა ახალციხელმა ზიგმუნდ ხილბერმეტეინმა თავი გამოიჩინა 800 მეტრზე (1წუთი, 58 წამი) და 1500 მეტრზე რბენაში (3 წუთი, 58,3 წამი).

გუნდურ ჩათვლაში ნარმატებას მიაღწიეს „მართვეს“ მძლეოსნებმა.

1977 და მომდევნო წლებში დაბადებულთა შორის აღსანიშნავია თბილისის გაათლების განყოფილების გუნდის ნეკრის დათო ქუთათელაძის მიღწევა. 100 მეტრი მან გაირბინა 11,4 წამში, ხოლო 200 მეტრი — 23,9 წამში. ამავე მანძილებზე რბენაში გოგონათა შორის პირველი იყო ნინო ბაღაშვილი (ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა). ვანელ მძლეოსან ქეთინო აბრამიძეს საუკეთესო შედეგი ჰქონდა 1500 მეტრზე რბენაში.

ამ კატეგორიაში გუნდური გამარჯვება წილად ხვდათ განათლების განყოფილების ნარმომადგენლებს.

• ჭადრაკი

თბილისის ზონაში დასრულდა ნახევარფინალური შესარჩევი ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც გამოდიოდნენ 10 წლამდე ბავშვები.

ფინალში მონაწილეობის უფლება, რომელიც მომავალ წელს გაიმართება თბილისში, მოიპოვეს: ლევან აროშიძემ (8 ქულა 9 შესაძლებლიდან), მერაბ გაგუნაშვილმა (7,5 ქულა), ეკატერინე შანავამ (6,5) და გივი თვალავაძემ (6).

გოგონათა შეჯიბრებაში 5 შესაძლებლიდან 5 ქულით გაიმარჯვა თამრიკო წერეთელმა. ოთხეულში მოხვდნენ, აგრეთვე, ანა ახალაია, სოფიკო ბერიძე და სოფიკო ნემსიწვერიძე.

• ნარდი

მეზობლების ნარდის ოდისეა იმით დაინყო, რომ ცნობილ მოყიდავეს, ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალი პირველობის გამარჯვებულსა და პრიზიორს, პოლიციის ვიცეპოლკოვნიკ თეიმურაზ ქურციკიძეს (იგი გლდანის რაიონის საკუთრების დაცვის პოლიციის განყოფილების უფროსია) მეორე გატაცება გაუჩნდა — ნარდის თამაში და მეტოქე-პარტნიორის საძებნელად შორს არ წასულა. იგი იქვე, ჩარგლის ქუჩის № 61-ში მცხოვრები, კარის მეზობელი, ელმავალმშენებელი ქარხნის ინჟინერი კიმ თაბუკაშვილი აღმოჩნდა. ძნელი სათქმელია, ბრძოლაში გართულ ამ წყვილს რამდენი საათი უგრძვნია კამათელი, ხშირად ღამეც დასთენებია. ვერც იმას გეტყვიან გადაჭრით ვინ უფრო ძლიერია მათ შორის და თავაზიანად გიპასუხებენ ორივე თანაბარნი ვართო. მაგრამ პარტნიორებს შორის ინტრიგა მაინც გაჩნდა, როცა ამ ზაფხულს თეიმურაზ ქურციკიძემ სპორტის სასახლის პრიზი მოიპოვა, რამაც მეზობელი „სპორტული ენინთ“ აღაცხო.

— როგორ, შენ თუ გაიმარჯვე, მე რაში ჩამოგრჩები? — გულახდილად უთხრა მეგობარს.

მისი დროც მოვიდა, ამ დღეებში თბილისის ღია პირველობაზე (შეჯიბრება მესხთვის უცხო, საერთაშორისო წესებით ჩატარდა და მასში საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული პროფესიონალი ნარდის ოსტატები ნუგზარ ხომერიკი, ძმები დავით და გურამ გორდელაძეები და სხვები გამოდიოდნენ). კ.თაბუკაშვილი 16 უძლიერესში მოხვდა.

ფინალისკენ მიმავალი გზიდან ჩამოიცილა უძლიერესები, ფინალში კი ნარდის ეროვნული ფედერაციის მოვალეობის შემსრულებელ აკაკი კიკალეიშვილს შეხვდა და დამაჯერებლად სძლია — 17:12, რითაც ფულადი ჯილდო და ჩემპიონის პრიზი მოიპოვა. III-IV ადგილებზე მამუკა გუგეშაშვილი და თამაზ გიორგობიანია.

სხვა ჩემპიონები და პრიზიორები: მოყვარულები: 1. გურამ გორდელაძე, 2. თენგიზ მიქიაშვილი, 3-4. ბარნაბ კაპანაძე, კარლო ბარდაველიძე (ყველა — თბილისი).

გრძელი ნარდი: 1. ზაქრო ცირკიძე (ტყიბული), 2. ილია შანიძე (ბათუმი), 3-4. ანზორ ფუტკარაძე (ბათუმი), კახაბერ მეურმიშვილი (თბილისი).

სურათებზე: ჩარგლის 61-ში კი გრძელდება დავა სახლის ჩემპიონის ვინაობის გასარკვევად თ.ქურციკიძესა (მარცხნივ) და კ.თაბუკაშვილს შორის.

XXX

საერთაშორისო სპორტული ნარდის თამაშის წესების გაცნობას მსურველებმა უნდა მიაკითხონ ეროვნული ნარდის ფედერაციას — თბილისი, ხეთაგურაულის ქ. №26.

ლოცულობდა...

კარლ ლუისის სურათთან



მოკლე ცნობა განთქმული მძლეოსნის, სიგრძეზე მხტომელ მაიკ პაუელის შესახებ: დაიბადა ფილადელფიაში, 1963 წლის 10 ნოემბერს. სიმაღლე — 190 სმ, წონა — 77 კგ. მსოფლიოს 1991 და 1993 წლების ჩემპიონი. მეორე ადგილები 1988 და 1992 წლების ოლიმპიურ თამაშებში. 1990 წელს აშშ-ს ჩემპიონი გახდა. პირადი რეკორდი: 8,95 (ეს მსოფლიო რეკორდია, რომელიც დაამყარა 1991 წელს ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზე), ზურგქარით — 8,99 — (დამყარდა სესტრიერეში 1992 წელს) — აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელი მძლეოსნობის ისტორიაში. შედეგები სხვა სახეობებში: 100 მეტრი — 10,45, 200 მეტრი — 21,21, სიმაღლეზე ხტომა — 2,14, ბირთვის კვრა — 15,71.

● მართალია, რომ უმაწვილობაში განთქმული მორბენლების ლარი მირიქსისა და კარლ ლუისის ხურათები კედელზე საწოლთან დაკიდეთ და ყოველი შეჯიბრების წინ მათ წინ ლოცულობდით?

— ჩემი სპორტული საქმიანობა კალათბურთით დაიწყო. სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი, მაგრამ ერთხელ მონაწილეობა მივიღე მძლეოსახთა შეჯიბრებაში და მიგვხედი, რომ ესაა ჩემი სახეობა და არა კალათბურთი. იოლად ვხტებოდი სიგრძეზე და სიმაღლეზეც. რაც შეეხება მირიქსისა და ლუისის სურათებს, ისინი მართლაც მეკიდა ოთახში, რომლებიც აღმაფრთოვანებდნენ. ბობ ბიმონის სურათიც მეკიდა. ყველა ისინი ჩემი კერპები იყვნენ. მსურდა მათსავით მხტომელი გამოვსულიყავი.

● სამჯერ პირისპირ შეხვდით ბიმონს ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში თქვენი ფანტასტიკური მიღწევის წინ და დიდმა ბიმონმა წარმატება გისურვათ.

— მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბიმონს სამჯერ შევხვდი. მაგრამ მაშინ მხოლოდ კარლ ლუისის ერთ-ერთი მხლებელი ვიყავი.

● ყველაზე დიდი იმედის გაცრუება სპორტში?

— ასეთი სამი იყო. პირველი — 1984 წელს, როცა ამერიკის ჩემპიონატში ჯერ მეორე ადგილზე გამოვედი, სულ რამდენიმე კვირის შემდეგ კი ოლიმპიური ნაკრების კანდიდატების შესარჩევ შეჯიბრებაში — მხოლოდ მერვე ვიყავი. რა გაეწყობოდა — ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს შეჯიბრებას. ოთხი წლის შემდეგ მეგონა, რომ უკვე მტკიცედ მოვიპოვე ადგილი ნაკრებში, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატისწინა შესარჩევ შეჯიბრებაზე მეშვიდე ადგილზე გავედი და ვერ გავემგზავრე რომში. 1991 წლის შემდეგ ვფიქრობდი, რომ ბედმა უკვე საბოლოოდ გამიღიმა. მაგრამ ოლიმპიურ თამაშებზე, უკვე მერამდენედ, დავმარცხდი, კარლ ლუისთან. მე ძალიან სტაბილურად ვხტებოდი, მაგრამ ლუისს მაინც უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა.

● ახლა ლუისთან თქვენი შეხვედრების ანგარიშია 16:2 მის სასარგებლოდ. რას ელით შემდგომ შეხვედრებში?

— შეჯიბრებებში კარლ ლუისის მონაწილეობა ჩემთვის კარგი გამაღიზიანებელია. ეს დღევანდელ შეჯიბრებებსაც ეხება, თუმცა გასაგებია, ახლა კარლი ის აღარ არის, რაც იყო.

მოამზადა

გივი თხინვალელმა

რა ხდება ქვეყანაზე

● [illegible] საერთაშორისო ფედერაციამ (ფია) დაამტკიცა 1995 წლისთვის „ფორმულა-1“-ის კალენდარი. პირველი ეტაპი დაგეგმილია 12 მარტისთვის არგენტინაში. ჯერჯერობით უცნობია სად გაიმართება ევროპის გრან-პრი 8 ოქტომბერს. აშკარად გაუმართლა იაპონიას. იქ მოეწყობა ორი გრან-პრი: წყნარი ოკეანისა — აიდეში და იაპონიისა — სუზუკაში. სულ 1995 წლისთვის დაგეგმილია ჩვიდმეტი გრან-პრი.

● მსოფლიოს ექსჩემპიონი ათჰიდში, გერმანელი მძლეოსანი ტორსტენ ფოსი გახდა ბობსლეისტი. 1987 წელს რომში ფოსმა ოქროს მედალი მოუტანა გფრ-ის გუნდს სწორედ ათჰიდში. შეგახსენებთ, რომ ბობსლეი მეორე პროფესიად გაიხადეს წარსულში კიდევ ორმა გამოჩენილმა ამერიკელმა სპორტსმენმა — ედვინ მოზესმა (მძლეოსნობა) და ჰოვარდ უოლკერმა (ამერიკული ფუტბურთი).

● მსოფლიოს ექსჩემპიონი 10 000 მეტრზე რბენაში ლიზ მაკკოლგანი ჭიუტად ამტკიცებს, რომ თითქმის ყველა მისი თანაგუნდელი ბრიტანეთის ეროვნულ ნაკრებში დოპინგსა იღებდა. არადა, თავად მიაჩნია, რომ მაღალი შედეგების ჩვენება სტაიერულ დისტანციებზე უდომინგოდაც იოლად შეიძლება. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ინგლისელმა მძლეოსნებმა მიმდინარე სეზონში დოპინგისადმი სწრაფვა გამოამჟღავნეს. მათგან უკვე დისკვალიფიცირებული არიან: სოლომონ უორისა, პოლ ედვარდსი, კოლინ მაკენზი და კიდევ რამდენიმე მამაკაცი. აღარაფერს ვამბობთ იმათზე, ვინც არ არიან მხილებულნი.

● 1995 წლის „ფორმულა-1“-ის ერთი ეტაპი ავსტრალიაში გაიმართება. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ამ ქვეყნის ავტოსპორტის ფედერაციამ მიაგნო სპონსორს, რომელიც დააფინანსებს უახლოესი ორი წლის შეჯიბრებას. ეს გახლავთ კომპანია ედს, რომელმაც 4,5 მილიონი დოლარი გამოჰყო. სხვათა შორის, აღნიშნული კომპანია ადრეც იყო ცნობილი დიდ სპორტულ ღონისძიებებთან თანამშრომლობით. ეს კომპანია, მაგალითად, სხვებთან ერთად, სპონსორობას უწევდა ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებს, ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს და ა.შ.

● ცნობილი გახდა, რომ გაისისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება „ტურ დე ფრანსის“ სარიზო ფონდი, გამარჯვებული კი 10 პროცენტით მეტ ფულად პრემიას მიიღებს, რაც საბოლოო ჯამში 2,2 მილიონ ფრანკს შეადგენს (400 ათას დოლარს). არის სხვა ცვლილებებიც. მაგალითად, ტრასა უფრო მოკლე იქნება, თანაც შემცირდება სამთო ეტაპების რაოდენობა. სტარტი დანიშნულია 1 ივლისისთვის ბრეტანის სანპიროზე. მერე ველოსიპედისტთა ქარავანი გაუყვება გზას საათის ისრის მიმართულებით ბელგიისკენ. სამი დღის შემდეგ რბოლის მონაწილენი თვითმფრინავით ჩავლენ შვეიცარიაში და იქ ორ ეტაპს გაატარებენ ალპებში. ფიქრობენ, რომ ეს იქნება „ტურ დე ფრანსის“ ყველაზე რთული მონაკვეთი. რბოლა დასრულდება 23 ივლისს აეს-ჟენე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითამაშა კიდეც, აღზარდა კიდეც, იმსაჯა კიდეც

„კი მაგრამ ვიღას ახსოვს დღეს ილო ლობჟანიძე. ეს ძველი თბილისელი ნაღდი კაცი. რომელმაც ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ“... ავტორი კითხვასავით წერს ამ სტრიქონებს და ბასუხსაც თავად იძლევა.

იმ დღეს საგანგებო განწყობილებით გავეშურე ბახტრიონის ქუჩის ბოლოსკენ, სადაც ქალაქის იპოდრომი და ჩოგბურთის კორტებია გადაშლილი. ჩემი ვიზიტის მიზეზი გახლდათ ძველი მეგობარი, ცნობილი პიროვნება, ფეხბურთის ამაგდარი მოღვაწე, ვეტერანი, დამსახურებული მწვრთნელი, მსაჯი და საზოგადოებრივი მუშაკი ილია ლობჟანიძე.

რატომ საგანგებო განწყობილებით? — იკითხავთ თქვენ — ძველ მეგობართან სტუმრობას რა საგანგებო განწყობა უნდა! დაურეკე, შეიტყვე შინაა თუ არა და, როგორც ეს წესი და რიგია, მოინახულე, გააკეთე ის, რაც მრავალგზის გაგიკეთებია...

„არა! ჩემს ვიზიტს ამჯერად სამსახურებრივი ხასიათი ჰქონდა — მე „ლელოს“ ოფიციალურ კორესპონდენტად ვეახელი ჩემს მეგობარს.

საქმე ისაა, რომ ილია ლობჟანიძე 80 წლისა შესრულდა. დიახ, დიახ, უკვე რვა ათეული წელიწადი „მოღუნა“ და, აი, ახლა ვსხედვართ ეს ორი ბერი კაცი და ნოსტალგიური მოგონებებით „ელაღარცლავთ“ განვლილ გზას, ვიგონებთ, ვიხსენებთ...

კი მაგრამ, ვიღას ახსოვს დღეს ილო ლობჟანიძე, ეს ძველი თბილისელი ნაღდი კაცი, რომელმაც ბევრი, ძალიან ბევრი რამ გააკეთა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ: ითამაშა კიდეც, აღზარდა კიდეც, იმსაჯა კიდეც, საზოგადოებრივი საქმიანობაც არ დაიზარა და ახლაც ყინჩად გამოიყურება თავის წელთა სიმძიმის პირობაზე. ვის ახსოვს და მასავით ხანდაზმულებს, წლებით დამძიმებულებს. ასეთებიც ხომ დაგრჩით ჯერჯეროობით ამ ქვეყნად.

ინტერვიუ კი, მართალი გითხრათ, არ გამოგვივიდა. ვერ ავეწყვეთ ოფიციალურ ნოტაზე, მით უმეტეს, რომ ილოს მეუღლე ჯულიეტა სამზარეულოში რაღაც საეჭვოდ ახმაურებდა ჭურჭელს. დიასახლისს თავისი საქმე ჰქონდა...

— აბა, რა უნდა გითხრა ისეთი, შენ რომ არ იცი, — მეუბნება მასპინძელი, — 1918 წელს დავსახლდით თბილისში ბაქოს ქუჩაზე. მე პირველ ნომერში ვცხოვრობდი, ჩემს პირდაპირ კი, ორ ნომერში — გაიოზ ჯეჯელავას ოჯახი. რაც თავი მახსოვს, გაიოზის ეზო შაგონდება, პაწაწკინტელა სათამაშო მოედანი, ცალ მხარეს კედელზე ფეხბურთის კარი მივახატეთ, მეორე გოლი სულ იმპროვიზაციას ჰქონდა დათმობილი — ჩანთები, ქუდები, აგურები, ყველაფერი, რაც კი ხელთ მოგვხვდებოდა. ტოლები ვიყავით და ერთი ინტერესი გვქონდა — ფეხბურთი. გაიოზის დედ-მამა ძალიან გვიწყობდა ხელს, თამაშს არ გვიშლიდნენ, ოღონდ გაკვეთილები შზად უნდა გვქონოდა — ეს ულაპარაკო კანონი იყო. იქვე ახლოს, კინო „აპოლოს“ გვერდით, „დინამოს“ ძველი სტადიონი მდებარეობდა, სადაც თვით დიდი ანდრო ჟორდანია ავარჯიშებდა თავის გუნდს. ანდრო ჟორდანია! ზედმეტიცაა ლაპარაკი მის ღვაწლზე ქართული ფეხბურთის ისტორიაში, როგორც მოთამაშე და როგორც მოთავე, ორგანიზატორი, ინიციატორი, იგი შეუდარებელი კაცი გახლდათ.

ჩვენ კი, ბავშვებს, შოთა შაგულიძე გვაკარჯიშებ[illegible] — იქვე მახლობლად, ბორჯომის ქუჩაზე, ცხოვრობდნენ ძმები ბერძენიშვილები — ბუკა და მიშა, მერმე შემოგვიერთდნენ ნესტორ და შალვა ჩხატარაშვილები, სერგო შუდრა. სხვებიც. საკმაოდ კარგი გუნდი შეეკრა ჩვენ, რომელსაც „ბურევესტნიკი“ დავარქვით.

ასე ვ[illegible] ბდით თბილისის ძველ, მტვრიან სტადიონებზე, 1936 წელს კი ჩამოყალიბდა „ლოკომოტივი“, რომელმაც 1938 წელს საკავშირო უმაღლეს ლიგასაც კი მიაღწია, იქ, სადაც მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“, ცდკა, კიევის „დინამო“ და სხვანი გამოდიოდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, სერგეი ილინის, მიხეილ იაკუშინის, მიხეილ სემიჩასტნის, ანატოლი აკიმოვის, ანტონ იცკოვსკის, კონსტანტინე შჩეგოცკისა და სხვათა მათთა მსგავსთა წინააღმდეგ ვთამაშობდით!

მერე დაიწყო ომი, ჯარში გამიძახეს. 1943 წელს ჩამოყალიბდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, იქ მიმიწვიეს მეც, დუკა რამიშვილიც, კიკა ხინთიბიძეც, ძმები ჯოჯუებიც. ეს შესანიშნავი გუნდი გახლდათ, თბილისის „დინამოსთვისაც“ აღიზარდნენ აქ მოთამაშეები. 1949 წლამდე ვითამაშე, მერე აქვე მწვრთნელობას მივყავი ხელი, ვმსაჯობდი კიდეც. 1959 წელს, როგორც სამხედრო მოსამსახურე ოდესაში გადამიყვანეს. იქაც საკმაოდ რიგიანი არმიელთა გუნდი იყო.

1962 წელს ოდესიდან ქუთაისში მიმიწვიეს ჯერ გუნდის უფროსად, მერე იქაური „ტორპედოს“ უფროს მწვრთნელად, რამდენიმე წელი დავყავი ქუთაისში, შემდეგ ჩავიბარე თბილისის „ლოკომოტივი“, აქაც კიკი ხანს ვიმუშავე.

ასე რომ, ფეხბურთის ყველა ეტაპი გავიარე: ვითამაშე ქალაქის, საქართველოს პირველობაზე, საკავშირო „ბ“ კლასში, უმაღლეს ლიგაში, სხვადასხვა დროს ვავარჯიშებდი ყველა ამ კატეგორიის გუნდს, მრავალი საერთაშორისო მატჩის მონაწილე გახლდით.

შემდგომში სამეურნეო საქმიანობა დავიწყე, მაგრამ ფეხბურთთან კავშირი არ გაწყვეტია, საზოგადოებრივი დატვირთვით ვმუშაობდი საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციებში. ახლაც, ეს 80 წლის კაცი, თბილისის ფედერაციაში ვარ, ვერ ვეშვები ამ საქმეს.

გული მწყდება საქართველოს ფეხბურთის ისტორია რომ არა გვაქვს რიგიანად შესწავლილი და დამუშავებული. ხომ არის ახალი კარგი გაზეთი „ქართული ფეხბურთი“, სწორედ იმან უნდა მოთაბას თავი ამ დიდ, საშვილიშვილო საქმეს, შექმნას შესაბამისი ისტორია, არ გამოსტოვოს ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და სხვა ქალაქების ფეხბურთელთა დიდი ღვაწლი. ჯერ კიდევ შეიძლება ქართული ფეხბურთის მდიდარი ისტორიის შექმნა უშუალო მომსწრეთა და ნათელმხილველთა მოგონებებზე. მერე გვიანი იქნება, ცოდვა კია, დაკარგულს-ვეღარ ავინაზღაურებთ.

როგორც ხედავთ, ოფიციალური ინტერვიუ არ გამოგვივიდა. ასე ვისხედით და ვსაუბრობდით ძველ ქართულ ფეხბურთზე ილო ლობჟანიძესთან, ამ საღი, ნათელი გონების ჭარმაგ კაცთან, რომელმაც აგვერ, სულ ახლა პატრიარქალური ასაკს, 80 წელს მიატანა. და მით უფრო საჭირო და აუცილებელია მისი ნატვრის აღსრულება — ქართული ფეხბურთის ისტორიის შექმნა. სანამ გვიანი არაა.

ბიჭიკო ჟორჟია

დიდხანს ვეძებეთ სურათი, სადაც ილო ლობჟანიძე თამაშის დროს იყო აღბეჭდილი მინდორზე. ბოლოს აი ამას მივაგენით: მატჩი ბაქოს „დინამოს“ ძველ სტადიონზე, ილო ლობჟანიძე (მუქ მაისურში) ებრძვის ბაქოელთა თავდამსხმელს ისაი აბრამაშვილს. „რა ვქნათ, მაშინ არ გვეკადნენ ზარგარიანები და კოტორაშვილები, — სინანულითა თქვა ლობჟანიძემ, — აი, სულ ეს შემომრჩა.“

სხვათაშორის, ეს ძველი საოსტატო ბარათი, ფოტომონტაჟი [illegible] ადებულია ცნობილი ფირმა „კოდაკის“ [illegible]

პირველი ჯგუფი
X ტური, 28 ოქტომბერი

„დურუჯი“ (ყვარელი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2-1

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1-1

„კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-0

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ილა“ (გორი) 2-0

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2-0

„სამტრედია“ (სამტრედია) — „გურია“ (ლანჩხუთი) 4-0

„დინამო“ (ბათუმი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1-0

„დინამო“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 3-1

საქართველოს პროვინციული ჩემპიონატი ფეხბურთში

	თ.	მ.	ფ.	ნ.	ბ.	ქ.
„სამტრედია“ (სამტრედია)	10	8	1	1	29-9	25
„დინამო“ (თბილისი)	10	7	2	1	45-12	23
„დინამო“ (ბათუმი)	10	7	-	3	26-13	21
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	10	7	-	3	21-9	21
„ტორპედო“ (ქუთაისი)	10	6	1	3	16-12	19
„მეტალურგი“ (რუსთავი)	9	4	3	2	11-5	15
„გურია“ (ლანჩხუთი)	10	4	2	4	18-24	14
„დურუჯი“ (ყვარელი)	10	4	-	6	13-30	12
„დინამო“ (ზუგდიდი)	10	3	3	4	19-16	12
„ილა“ (გორი)	10	3	3	4	5-9	12
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	10	3	2	5	14-15	11
„ივერია“ (ხაშური)	10	3	2	5	13-15	11
„კახეთი“ (თელავი)	10	2	4	4	6-15	10
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	10	2	2	6	5-26	8
„საპოვნელა“ (თერჯოლა)	10	1	2	7	8-24	5
„სამგურალი“ (წყალტუბო)	9	-	3	6	8-23	3

გათამაშების ცხრილი
პირველი ჯგუფი
მდგომარეობა 10 ტურის შემდეგ

საქართველოს თასი

2 ნოემბერს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო თასის გათამაშების განმეორებითი მატჩები:

„ილა“ (გორი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-1

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-4

„ივერია“ (ხაშური) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3-3

„დინამო“ (ბათუმი) — „კახეთი“ (თელავი) 3-0

„აზოტი“ (რუსთავი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1-0

„ქიზიყი“ (წნორი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). ქუთაისის გუნდი წნორში არ ჩავიდა.

„დინამო“ (ზუგდიდი) — „ანცი-ზოოვეტი“ (თბილისი). „ანცი-ზოოვეტი“ ზუგდიდში არ ჩავიდა.

თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ: „სამტრედია“, „მეტალურგი“, „ქიზიყი“, „საპოვნელა“, „დინამო“ (ბათუმი), „დინამო“ (ზუგდიდი), „გურია“. დაემატება თბილისის „დინამო“.

18 წლამდე ჭაბუკთათვის

ახალგაზრდა ფეხბურთელთა (ასაკი — 18 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გაიმართა ორი შეხვედრა: უკრაინა — სომხეთი 5-1, უკრაინა — საქართველო — 2-0.

ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (6) ლიდერობენ უკრაინელები, საქართველოს ნაკრებს 3 ქულა აქვს, სომხეთისას — 0.

ბაღდათელები ჩემპიონები არიან

8 გუნდი გამოდიოდა მინიფეხბურთელთა საქართველოს მეორე ჩემპიონატში, რომელიც ამას წინათ მოეწყო თბილისში. ფინალის, ორ სუპერმატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბაღდათის „ბაასი“ და თბილისის „ჭორები“. ბაღდათელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს — 7-4; 8-3 და ჩემპიონთა წოდებაც მოიპოვეს.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით შეიქმნა საქართველოს ნაკრები, რომელიც მომავალ წელს მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

ვინ, საით...
საკუპონო ზონიდან ფეხბურთელებიც გარბიან

ნორმალურ სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობებს მოკლებულ სპორტსმენებს, რომლებსაც საკუთარი თავის გარდა ოჯახიც ჰყავთ სარჩენი, მოთმინების ფიალა აღევსოთ, ისინი უკეთესი პირობების საძიებლად მასობრივად დაიძრნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ვლადიკავკაზის „სპარტაკთან“ კონტრაქტს უკვე მოაწერეს ხელი საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრებმა ზაზა რევაზიშვილმა და ძიხეილ ყველაშვილმა, ტრაპიზონს მიემგზავრებიან ტყუპი ძმები შოთა და არჩილ არველაძეები, მაღი უფროსი ძმა რევაზი და გელა ინალიშვილი გერმანიაში, იქაური მესამე დივიზიონის კლუბ „ტენის-ბორუსიაში“ გამოვლენ (და არა ისრაელის ერთ-ერთ გუნდში, როგორც ამას საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ). მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ მიზანში ჰყავთ ამოღებული გიორგი ნემსაძე და მურთაზ შელია. ამ დღეებში გაირკვევა აგრეთვე ის საზღვარგარეთული კლუბი, რომელშიც თავის საფეხბურთო კარიერას გააგრძელებს გიორგი ქინჭლაძე. მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ გაირკვევა გოჩა ჯამარაულის საქმეც.

დინამოელებს არც თბილისის „შევარდენი-1913“-ის ფეხბურთელები ჩამორჩნენ. ეროვნული ნაკრების მეკარე აკაკი დევაძე თანაგუნდელ კოტე მელქაძესთან ერთად უკრაინას გაუმგზავრა, სადაც მოლაპარაკება აქვს კიევის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორთან“...

უეფა გვატყობინებს

უეფამ შეკითხვით მიმართა ევროპის ქვეყნების ფედერაციებსა და ასოციაციებს, თუ ვის სურს უმასპინძლოს 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის გათამაშებას. განცხადებებს განიხილავენ და ორგანიზატორ ქვეყანას დაასახელებენ გაისად, გაზაფხულზე.

მიმდინარე წლის დეკემბერში უეფა დაასახელებს იმ ქალაქებს, სადაც გაიმართება 1994-95 წლების ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალური მატჩები.

უეფამ გაავრცელა ცნობა, რომ ავტოავარიის შედეგად დაიღუპა პორტუგალიის ეროვნული ნაკრებისა და „პორტოს“ ცნობილი ნახევარმცველი რუი ფილიპე.

მანუჩარ მაჩაიძე — როსტოვიდან ამერიკაში

ამას წინათ, როსტოვში, ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებიც მონაწილეობდნენ (რ. ურუშაძე, ს. კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, მ. და გ. მაჩაიძეები, გ. პეტრიაშვილი, დ. ხუნდაძე, ბ. მჭედლიშვილი, ვ. ბარქაია, ლ. ნოდია, აგრეთვე თ. ჩხაიძე, მ. ლაცაბიძე, ვ. ბარნაბიშვილი და მწვრთნელი გ. კვთიაშვილი). თბილისელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ხოლო გაიმარჯვეს მასპინძლებმა (ასკ), მეორე იყო ერევნის „არარატი“.

საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს მ. მაჩაიძე, რომელსაც ჯილდოდ ო. ზანაზანიანთან (არარატი) ერთად ამერიკის შ[illegible] ერთებულ შტატებში უფასოდ სტუმრობის საგზური გადაეცა. ყველაზე ხანდ[illegible]ლის პრიზი გადასცეს ბ. სიჭინავას. ჯილდოები მიიღეს, აგრეთვე, თ. ჩხაიძ[illegible] და გ. მაჩაიძემ.

მზია მეგაბიშვილი

ნბა: უმაღლესი მაჩვენებლები

კალათბურთის ეროვნული ლიგის (ნბა) ახალი სეზონის დაწყების წინ საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ 1993-94 წლების ჩემპიონატის უმაღლეს პირად მაჩვენებლებს. საქმე ის გახლავთ, რომ ასე კომპაქტურად ეს ცნობები წლეულს არ გამოგვიქვეყნებია.

მოედანზე გატარებული დრო. ლეტლერ სპრიუელი („გოლდენ სტეიტი") — 3533 წუთი.

ყველაზე ბევრი მატჩი. კარლ მელოუნი („იუტა") — 56.

საუკეთესო სნაიპერი. სეზონში: დევიდ რობინსონი („სან-ანტონიო") — 2383, ერთ მატჩში: დევიდ რობინსონი — 71 („ლოს-ანჯელეს კლიპერსთან").

ყველაზე ბევრი ქულა თამაშიდან. სეზონში: შაკილ ო' ნილი („ორლანდო") — 1906, ერთ მატჩში: დევიდ რობინსონი — 53 („კლიპერსთან").

სამქულიანი სროლა. სეზონში: დენ მარლი („ფინიქსი") — 192, ერთ მატჩში: დენ მარლი — 8 („კლიპერსთან").

საჯარიმო სროლა. სეზონში: დევიდ რობინსონი — 693, ერთ მატჩში: კენი ანდერსონი („ნიუ ჯერსი") — 20 („დეტროიტთან").

ფარქვეშ ბურთის დაუფლება. სეზონში: დენის როდმენი („სან-ანტონიო") — 1367, ერთ მატჩში: დენის როდმენი — 32 („დალასთან").

საკუთარი ფარის ქვეშ ბრძოლა. სეზონში: დენის როდმენი — 914, ერთ მატჩში: დენის როდმენი — 23 („დალასთან").

მეტოქის ფარის ქვეშ ბრძოლა. სეზონში: დენის როდმენი — 453, ერთ მატჩში: შაკილ ო' ნილი — 14 („ბოსტონთან").

შედეგიანი გადაცემა. სეზონში: ჯონ სტოკტონი („იუტა") — 1031, ერთ მატჩში: კევინ ჯონსონი („ფინიქსი") — 23 („სან-ანტონიოსთან").

გადაცემის ჩაჭრა. სეზონში: ნეიტ მაკმილანი („სიეტლი") — 216, ერთ მატჩში: კევინ ჯონსონი — 10 („ვაშინგტონთან").

მიღებული ჯარიმები. სეზონში: შონ კემპი („სიეტლი") — 312.

ხუთი ჯარიმის შედეგად მოედნიდან გაძევება. სეზონში: რიკ სმითი („ინდიანა") და შონ [illegible]

● ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ლიგა) ოფიციალური ემბლემა, რომელზეც გამოსახულია ბურთიანი კალათბურთელი დრიბლინგის მომენტში, შეიქმნა წარსულში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ერთ-ერთი სუპერვარსკვლავის ჯერი უესტის ცნობილი ფოტოსაგან. სხვათა შორის, ეს მომენტი გამოყენებულია საკალათბურთო ენციკლოპედიის ტიტულზე და ბევრ პლაკატში. უესტი ამჟამად „ლეიკერსის" მენეჯერია.

ყველაფერი პროფესიულ კალათბურთზე

● **რეგბრეგ** სტატისტიკოსები აღნიშნავენ, **1963-1969** წლების განმავლობაში „ბოსტონ სელტიკსის" კლუბმა შვიდი პრეზიდენტი შეიცვალა, მაგრამ ლიგის ჩემპიონი ექვსჯერ მაინც გახდა. ასე რომ, არ არის მართალი დებულება, თითქოს პრეზიდენტების ხშირი მონაცვლეობა კრიზისის ნიშანი იყოს.

● „**ლოს-ანჯელეს** ლეიკერსის" ერთ-ერთი ყოფილი სუპერვარსკვლავი ელჯინ ბეილორი ნბა-ს რვა ფინალური მატჩის მონაწილეა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მიიღო გამარჯვებულთათვის განკუთვნილი „ჩემპიონის ბეჭედი". ამაზე მეტად გულდასაწყვეტი მაინც არის ის, რომ იმ წელს, როცა ბეილორმა თავი მიანება კალათბურთს, „ლეიკერსი" ჩემპიონი გახდა.

● **1970** **წლის** დრაფტის ხუთი მონაწილე სხვადასხვა დროს კალათბურთის დიდების მუზეუმის წევრი გახდა. ესენი არიან: ბობ ლეინირი, პიტ მარავიჩი, დეივ კოუენსი, კევინ მერფი და ნეიტ არჩიბალდი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სხვა ასეთი „სახელოვანი დრაფტი" პროფესიული კალათბურთის ისტორიაში არ აღრიცხულა.

● **ნბა-ს** ისტორიაში ყველაზე ბევრი უმაღლესი ტიტული მოგებული აქვს სახელოვან „ბოსტონ სელტიკსს", მაგრამ პლეი-ოფის სერიებში გამარჯვებების უფრო მაღალი პროცენტი მეორე, არანაკლებ სახელოვან გუნდს — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსზე" მოდის.

● **პროფესიული** კალათბურთის მატიანეში ბევრი კურიოზული ფაქტია აღრიცხული. ერთ-ერთი მათგანი ლეგენდარული მაიკლ ჯორდანის სახელთანაა დაკავშირებული. „ჩიკაგოელ ხარებში" („ჩიკაგო ბულზში") ეს კალათბურთელი **1984** წლის დრაფტით ჩაირიცხა, მაგრამ ჯორდანი იქ მხოლოდ მესამე ნომერი იყო.

● **ისლამის** რელიგია მოგვიანებით აქვს მიღებული ნბა-ს ხუთ ვარსკვლავს. თანაც ხუთივემ ამის შემდეგ გვარი გამოიცვალა: ქარიმ აბდულ-ჯაბარი გახდა ლიუ ალსინდორი, ჯამალ უილკესი — კეი უილკესი, მაჰდი აბდულ რაჰმადი — უოლტ ჰეზარდი, სეიდ აბდულაზიზი — დონალდ სმითი, მაჰმუდ აბდულრაუფი კი — კრის ჯეკსონი.

● **სეზონის** „ყველაზე სასარგებლო მოთამაშის" პრიზს, როგორც წესი, ლიდერი გუნდის მოთამაშე ეუფლება. თუმცა ეს წესი ერთხელ დაირღვა. პრიზი მიიღო ქარიმ აბდულ-ჯაბარმა, რომლის კლუბიც არ იყო ჩემპიონატში დაწინაურებული.

● **ნბა-სა და აბა-ს 25** მწვრთნელი სხვადასხვა დროს არჩეულნი იყვნენ კალათბურთის დიდების მუზეუმში, ოღონდ როგორც მოთამაშენი.

● **1973** **წელს,** როცა მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში საგრძნობლად გაიზარდა ანჯელა დევისის ავტორიტეტი, ნბა-ს **70**-მა მოთამაშემ შეიკრიბა თმა ე.წ. „ანჯელა დევისის" სტილით. **10** წლის შემდეგ „დევისის მიმდევართა" რიცხვი შვიდამდე შემცირდა. დღეს ნბა-ში მოდაშია „მელოტი თავი". ამ სტილს მიმართავს მოთამაშეთა თითქმის **50** პროცენტი.

● „**ფინიქსის**" მცველი დენი ეინჯი ნბა-ს ერთადერთი კალათბურთელია, რომელიც წარმატებით გამოდიოდა პროფესიულ კეტბურთელთა ლიგაში და ღირსეულადაც იცავდა თავისი კლუბის სახელს. ეინჯის „ტორონტო ბლიუ ჯეიზის" შემადგენლობაში **211** მატჩი აქვს ჩატარებული.

● **პროფესიულ** კალათბურთში ლერი ბრაუნი უნიკალური რეკორდის მფლობელად ითვლება. იგი ერთადერთი მწვრთნელია ლიგაში, რომელიც ერთი სეზონის განმავლობაში ორ სხვადასხვა გუნდს ავარჯიშებდა. **1991-1992** **წლებში** მან ჯერ „კლიპერსში" დაიწყო მუშაობა, მერე კი „სპერსში" გადავიდა.

● **ერთადერთი** კალათბურთელი, რომელიც სამივე საკალათბურთო ლიგის საუკეთესო სნაიპერის სახელს ატარებდა, გახლავთ რიკ ბარი. იგი ბომბარდირად იყო აღიარებული ნბა-ში, აბა-ში და ნკაა-ში.

● **1950** **წელს** ბად გრენტმა „მინეაპოლის ლეიკერსის" შემადგენლობაში ნბა-ს ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მერე მან მიატოვა კალათბურთი და ამერიკული ფეხბურთის პროფესიონალი მწვრთნელის დიპლომი მიიღო. გრენტი ცნობილია იმით, რომ თავისი აღსაზრდელები ოთხჯერ გაიყვანა სუპერბოულის ფინალში.

● **ერთადერთი** კალათბურთელი, რომელიც ერთიანებდა „ბოსტონ სელტიკსის" ორ ლეგენდარულ თაობას, გახლავთ დონ ჩენინი. იგი თამაშობდა ბილ რასელთანაც და ლარი ბიორდთანაც. ამჟამად კი ჩენინი „დეტროიტ პისტონსის" მწვრთნელია.

● **ყველაზე** ბევრჯერ სახელწოდება შეცვლილი აქვს „ვაშინგტონ ბულეტსს". ამ მხრივ მას ლიგის ჩემპიონადაც მიიჩნევენ. გუნდი სხვადასხვა დროს ატარებდა „ჩიკაგო პეისერსის", „ჩიკაგო ზეფირსის", „ბალტიმორ ბულეტსის" და „კაპიტალ ბულეტსის" სახელწოდებას, ბოლოს კი „ვაშინგტონ ბულეტსი" გახდა.

● **ნბა-ს** ისტორიაში ყველაზე გრძელი გვარი დაფიქსირებულია „დენვერის" კლუბში. ამ გუნდის ცენტრალური თავდამსხმელის ზაირელი კალათბურთელის გვარია: მუტუმბოს დიკემბე მუტაბო მპოლონგო შუა-ბა ჟან ჟაკ ვამუტ ომბო.

● **ყველაზე** მეტი სახელოვანი მწვრთნელი პროფესიულ კალათბურთს მისცა „ბოსტონ სელტიკსის" **1963** წლის შემადგენლობამ. ესენი არიან: ბობ კოუზი, ბილ რასელი, კეი სი ჯოუნსი, ტომ ჰეინსონი და ტომ სენდერსი.

● **არც ერთ** პროფესიულ კლუბს არ ჰყავს ისეთი სახელოვანი დიზაინერი, როგორც „ინდიანა პეისერსს". ამ გუნდში დიზაინის საქმეს ხელმძღვანელობს ოლიმპიური ჩემპიონი სპრინტში და მსოფლიოს რეკორდსმენი, ლეგენდარული ამერიკელი მძღოლი სანი ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი.

● **იმ** **წლებში,** როცა შთამა გუნდებმა ნბა-ს ჩემპიონობა მოიპოვეს, საუკეთესო სნაიპერების პრიზი მიღებული აქვთ: ჯო ფალკსს (**1947**), ჯორჯ მაიკს (**1949, 50**), ქარიმ-აბდულ ჯაბარს (**1971**), მაიკლ ჯორდანს (**1991-93**).

● **ერთადერთი** კალათბურთელი, რომელსაც ერთ მატჩში მოპოვებული აქვს **100** ქულა გახლავთ უილტონ ჩემბერლენი. ეს მოხდა **1962** წლის 2 მაისს, როცა მისი გუნდი „ნიუ-იორკს" ეთამაშებოდა.

● „**ყველაზე** მშვიდობიანი მატჩი" — ასე მონათლეს ორთაბრძოლა „ფოორტ უეინ პისტონსსა" და „მინეაპოლისს ლეიკერსს" შორის, როშელიც **1950** **წლის 22** ნოემბერს გაიმართა და დამთავრდა „პისტონსის" გამარჯვებით... **19-18.** საინტერესოა, რომ მინეაპოლისის საუკეთესო სნაიპერმა ჯორჯ მაიკმა ამ შეხვედრაში კლუბს **15** ქულა შესძინა.

● **ნბა-ს** სტატისტიკაში აღრიცხულია ყველაზე შედეგიანი მატჩიც. ეს გახლავთ **1983** **წლის 13** იანვრის ორთაბრძოლა იმავე „პისტონსსა" (ოღონდ მაშინ იგი უკვე „დეტროიტის" სახელს ატარებდა) და „დენვერს" შორის. დეტროიტელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით — **186:184.** იმ დღეს გამარჯვებულის გამოსავლენად სამი დამატებითი დრო დაინიშნა. ძირითადი დრო კი დამთავრდა **146:146.**

იან ფეკეტე
საფეხბურთო დეკამერონი

კურიოზული გოლები

ფეხბურთის შემატიანეები სულ სხვადასხვაგვარ გოლებს აღნუსხავენ: ილბლიანსა და უიღბლოს, „კანონიერსა" და „უკანონოს", ზოგჯერ „სულელურსაც" კი. მაგრამ ის, რაც იუგოსლავიელ მეკარე ზორან მიშიჩს (იგი მაშინ ავსტრიის პირველი ლიგის კლუბში გრაცის გაკში თამაშობდა) დაემართა, შეიძლება ერთადერთიც იყოს ისტორიაში.

ეს გუნდი ავსტრიის ჩემპიონატზე ვენის „ვაკერს" ეთამაშებოდა და პირველი ნახევრის შემდეგ წინ იყო ანგარიშით 1-0. მეორე ტაიმი დაიწყო, სტუმრებმა შორიდან დაარტყეს და ანგარიში გაათანაბრეს. ამ დროს მეკარე კარში არ აღმოჩნდა, როგორც გამოირკვა, მას გასახდელ ოთახში... ჩაეთვლიმა.

უცნაური რამ მოხდა 30-იან წლებში იუგოსლავიაში. ზაგრების „დინამოს" მეკარე მუტაკმა ძლიერი დარტყმა მოიგერია, მაგრამ ამ მომენტში ქუდი მოძვრა, რომელიც კარის ხაზის შიგნით დაეცა. მეკარემ უკვე დაჭერილი ბურთი ამოიღლიავა, კარში შევიდა და ქუდს მისწვდა. ამასობაში მსაჯმა მინდვრის ცენტრზე მიუთითა და კარის აღება ალბეშნა, ვინაიდან ბურთმა ხაზი გადაკვეთა.

ერთი კურიოზული გოლი... ქარმა გაიტანა. 1980 წლის შემოდგომაზე მიმდინარეობდა შვეიცარიის [illegible] პირველობის მატჩი „დო�in [illegible]" და „ბეკინგენს" შორის. მასპინ[illegible] მეკარეს კარტ ჰაასმა ბურთი იქნა საჯარ [illegible] მოედანზე მყოფ თანაგუნდელს მიაწოდა, მაგრამ ამ დროს წამოუბერა ძლ[illegible]რმა ქარმა, ბურთი უკან დაბრუნდა, ასხლტა და ბადეში გაეხვია.

ორიგინალური გოლი გავიდა ჩეხოსლოვაკიის ნა[illegible]ების კარში. ეს გუნდი 1958 წლის [illegible] აპრილს პრაღაში ეთამაშებოდა ბ[illegible]ანიის ფედერაციული რესპუბლიკი[illegible] ნაკრებს. ორივე მეტოქე მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებოდა, რომელიც იმ წელს შვეიცარიაში გაიმართა. მეორე ტაიმის დაწყებიდან სულ რამდენიმე წუთი იყო გასული, ამ მომენტისათვის ანგარიში გახლდათ 1-1. ჩეხოსლოვაკიელთა მეკარე იმრიხ სტახო ბურთის კარიდან დასარტყმელად მოემზადა, იგი მიწაზე გაათამაშა, მაგრამ შემთხვევით იქვე მდგომ ჩადეკს მოახვედრა, რომელსაც აუსხლტა და ბადეში გაეხვია.

არანაკლებ ორიგინალური რამ მოხდა პრაღაში 1921 წლის 13 ნოემბერს ჩეხოსლოვაკია-შვეიცის მატჩში. ჩეხოსლოვაკიელები აგებდნენ და მთელი გუნდით უტევდნენ, რათა როგორმე გაეთანაბრებინათ ანგარიში. ერთ-ერთი იერიშის დროს იან ვანიკმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ შვედმა მეკარემ ბურთი ზედ კარის ხაზზე დაიჭირა. მოთამაშეებმა „ყვირილი მორთეს „ გოოლი!". მათ მაყურებლებიც აყვნენ, მაგრამ მეკარე ამტკიცებდა, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. ავსტრიელი მსაჯი, რომელიც ამ დროს საკმაოდ შორს იყო, კარისკენ გაეშურა სიტუაციის გასარკვევად, ეს ასე იყო, [illegible] მაგრამ ამასობაში მას დაავიწყდა... შექ[illegible]ერებინა თამაში. მეკარემ ბურთი ბ[illegible]ახზე დადო და ცდილობდა ზუსტად ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც იგი დაიჭირა. ასე არ უნდოდა და დისკუსიას წერტილი დაუსვა ჩეხოსლოვაკიელთა თავდამსხმელმა ანტონინ იანდა-ოჩკომ და ბურთი კარში შოათავსა. მსაჯმა გოლი ჩათვალა და მატჩიც ფრედ დამთავრდა — 2-2.

1984 **წელს** ბუნდესლიგის ჩემპიონატის 33-ე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლევერკუზენის „ბაიერი" და მონხენგლადბახის „ბორუსია". თამაშის დამთავრებას სულ რამდენიმე წამი აკლდა, [illegible]ოცა მასპინძელთა მეკარე ფოლბო[illegible] ბურთი მიწაზე დადო და ცენტრისკენ [illegible]რთა. ამასობაში ბურთთან მოირბინა „ბორუსიისა" და ნაკრების [illegible]ნბილიმა მოთამაშემ ლოთარ [illegible]უსმა და იგი ბადეში შეაგორა. [illegible]ბა გოლი ჩათვალა და 1-1-ის ნაცვლად ანგარიში გახდა 2-1 სტუმრების სასარგებლოდ. ამაოდ ირწმუნებოდა მეკარე, რომ მოვსმა თამაშის დამთავრების მაუწყებელი სასტვენი.

კურიოზული გოლი გავიდა ბრაზილიის ცნობილი კლუბების „სანტოსსა" და „პალმეირასის" შეხვედრაში. თამაშის დამთავრებას სულ რამდენიმე წუთი აკლდა, როცა „სანტოსი" წინ იყო ანგარიშით 2-1. „პალმეირასის" თავდამსხმელმა ჟირინიომ უხერხული პოზიციიდან „ყოველი შემთხვევისთვის" მაინც დაარტყა კარში. „სანტოსის" მეკარე ბეტაომ ამ დროს „წაუყვინთა" და სრულიად იოლი ბურთი გაუშვა. ეხეც არაფერი. „პალმეირასის" მოთამაშის მიერ დარტყმული ბურთი მსაჯ არაგაიას მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და „სანტოსის" კარში აღმოჩნდა. მსაჯსაც მეტი რაღა დარჩენოდა, უნდა ჩაეთვალა გოლი, რომელიც ფაქტობრივად თვითონვე გაიტანა.

მსგავსი რამ მოხდა ბელგიის პირველ ლიგაში „ლოკერენისა" და ანტვერპენის „ბეარშოტის" შეხვედრაში 1984 წელს. ანტვერპენელები წინ იყვნენ ანგარიშით 3-2. „ლოკერენის" მოთამაშემ ბურთი მინდვრის ხაზიდან მიაწოდა. იგი მოხვდა მსაჯს და... ბადეში გაეხვია. ერთი სიტყვით, ბურთი ფაქტობრივად აქაც მსაჯმა გაიტანა. მას გოლის ჩათვლა მოუხდა, მაგრამ განერვიულდა, სამ მოთამაშეს მინდორი დაატოვებინა, შვიდს კი ყვითელი ბარათი აჩვენა.

იმავე **წელს** იტალიის პირველ ლიგაში ერთმანეთს ხვდებოდნენ ვერონის „ელასი" და ტურინის „იუვენტუსი". 81-ე წუთისთვის ვერონელები წინ იყვნენ ანგარიშით 1-0, საჯარიმო მოედნის საზღვარზე ბურთი მიიღო დანიის ნაკრების ცნობილმა თავდამსხმელმა პრებენ ელკაერ-ლარსენმა და კარში დარტყმასაც აპირებდა, როცა... ბუცი გასძვრა. დანიელი არ დაიბნა, უბუცოდ განაგრძო წინსვლა, გვერდი აუარა მცველს და მეორე ბურთიც გაიტანა.

სლოვაკეთიდან თარგმნა

ვიქტორ ბამრეკელმა

მაიკლ მურერის გამოცდა

ამ დღეებში ლას-ვეგასის რინგზე მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონის მოკრივეთა შორის (ვბა-სა და იბფ-ს ვერსიებით) მაიკლ მურერი დაიცავს თავის ტიტულს ჯო პიპთან შეხვედრაში (ეს უკანასკნელი ამ 12-რაუნდიან ბრძოლაში ცვლის ეჯორჯ ფორმენს).

გახსოვთ ალბათ, რომ დაახლოებით ნახევარი წლის წინ მურერმა ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა ევანდერ ჰოლიფილდს. ახალი ჩემპიონი 26 წლისაა. ვარჯიშობს 37 წლის ტედი ატლასთან, რომელმაც თავის დროზე მაიკ ტაისონი აღმოაჩინა. ამბობენ, ნიჭიერმა მწვრთნელმა კიდევ ერთ პერსპექტიულ მძიმე წონოსანს — შენონ ბრიგს მიაგნო.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

კალათბურთი. ევროპის თასი კლუბებს შორის. მესამე წრე. „ბუდეველნიკი" (კიევი) — „კივეტასკეტი" 91:118 (48:58). კორაჩის თასი. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ილი" (ტრიესტი, იტალია) 78:80 (39:35); „დინამო" (მოსკოვი) — „არისი" (სალონიკი, საბერძნეთი) 99:74 (45:45).

სპორტული ტელეპრანი

„ოსტანკინო"

5 ნოემბერი. 8.15. სპორტშანსი.

6 ნოემბერი. 8.15. ოლიმპიური დილა. 8.50. სპორტლოტო. 22.50. სპორტული უიკენდი. 0.05. რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი).

„როსია"

5 ნოემბერი. 16.50. ფეხბურთი უსაზღვრებოდ.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამკაიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: ვ. ხიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელოში" №4, 6, 8, 35, 37.

ოთარ ჯალაძე, ავთანდილ გუნია, იოსებ გოცირიძე, თამაზ ქობულაძე, ნოდარ გუგუშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სპორტული მუშაკი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვეფოლსპორტში

სტანისლავ ნათაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. ღაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში"